პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 196 (4190)

1970 წ. 6 ოქტომბერი, სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ისრები — მიზანში

ერევანი, 5 ოქტომბერი. აქ სამ დღეს გაგრძელდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშვილდოსანთა ღია პირველობა. ასპარეზობაში ყველას აჯობა საქართველოს ნაკრებმა. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ქალები — ქ. ლოსაბერიძე, გ. რიჟამაძე, გ. პაიკიძე, ვაჟები — ე. არველაძე, ბ. ქორიძე, ვ. ხოხაძე და დ. ფილოშვილი.

7 ოქტომბრიდან საქართველოს მშვილდოსნები ნიკოპოლში უკრაინის ღია პირველობაში იასპარეზებენ.

## ბრუმელის რეკორდი გადარჩა

სოჩი, 5 ოქტომბერი. აქ ორ დღეს გაგრძელდა სოციალისტური ქვეყნების დინამოელ მძლეოსანთა XII ტრადიციული შეჯიბრება. გამარჯვებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ გდრ-ის, ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის გუნდები. პირველობა დარჩათ მასპინძლებს, რომლებმაც 220 ქულა მოაგროვეს და 59 ქულით გაუსწრეს გდრ-ის ათლეტებს. III ადგილზე გავიდნენ პოლონელები — 118 ქულა. პროგრამით გათვალისწინებული 33 სახეობიდან ამ შეჯიბრების 18 რეკორდი გაუმჯობესდა.

მასპინძელთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა სამხტომში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ევროპის ორგზის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა, სოხუმელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. სანეევმა — 16,98 მ.

სიგრძეზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი კ. ბეერი (გდრ) ნაკლებად ცნობილ ა. ნეპლიუხინთან (მოსკოვი) ბრძოლაში დამარცხდა. ნეპლიუხინი სოჭში ოსტატობის კანდიდატის სახელით ჩამოვიდა, შინ კი სპორტის ოსტატის წოდებით დაბრუნდა. იგი 777 სანტიმეტრზე გადახტა. ბეერი მას 6 სანტიმეტრით ჩამორჩა.

ა. შუპლიაკოვმა უროს ტყორცნაში პირადი რეკორდი (70,66 მ) დაამყარა და პირველობაც მოიგო. საბჭოთა სპორტსმენმა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონს დ. ჟივოცკის (უნგრეთი) 2,22 მ მოუგო.

სენსაციური გამოდგა 200 მეტრზე რბენის ფინალი. სპეციალისტთა აზრით, აქ პირველობა ან 400 მეტრზე რბენაში კონტინენტის ჩემპიონს ი. ვერნერს (პოლონეთი) უნდა დარჩენოდა, ან 200 მეტრზე ასპარეზობაში ევროპის ჩემპიონატის ფინალისტს ჰ. ზომბახს (გდრ), მაგრამ ასე არ მოხდა. გაიმარჯვა 18 წლის ვიტებსკელმა ს. კოროვინმა (21,3). ვერნერი და ზომბახი შესაბამისად II და III ადგილებს დასჯერდნენ.

100 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო რეკორდის თანაავტორს, პოლონელ ტ. სუკნევიჩს სათანადო მეტოქეობა ვერავინ გაუწია. გამარჯვებულის დრო 13,3.

10000 მეტრზე რბენა მოიგო ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა — 29.34,4.

კულმინაცია სიმაღლეზე მხტომელი ვაჟების შეჯიბრება იყო. კ. შაპკამ (სსრ კავშირი), რომელიც „ფოსბიური-ფლოპის" ყაიდით ხტება, მეტოქეები იოლად დაჯაბნა — 223 სმ სიმაღლე დაძლია. ასეთი შედეგი წლეულს ევროპაში არავის უჩვენებია. შემდეგ შაპკამ ვ. ბრუმელის მსოფლიო რეკორდსაც (228 სმ) შეუტია — თამასა 229 სანტიმეტრზე გადეს. ლიტველი მძლეოსანი მიზანთან სულ ახლოს იყო — ერთ-ერთ ცდაზე სიმაღლეს გადაევლო კიდეც, მაგრამ ბოლო მომენტში თამასა ჩამოვარდა. ბრუმელის რეკორდი ჯერჯერობით გადარჩა.

## სასოფლო სპორტის სასახლე

კუნგური (პერმის ოლქი), 3 ოქტომბერი. სოფელ ბარანოვოში დგას აგურის შენობა, სადაც მოთავსებულია დიდი და პატარა სპორტული დარბაზები, გასახდელები, საშხაპეები, ინსტრუქტორთა ოთახები, სამედიცინო კაბინეტი. დღეს აქ საზეიმოდ გაიხსნა სასოფლო სპორტის სასახლე. ზეიმზე თავი მოიყარეს მშენებლებმა და ახალი შენობის ბატონ-პატრონებმა, — მეფრინველეობის ფაბრიკა „კომსომოლეცის" ახალგაზრდა მუშებმა. მათ რვა თვის წინ დაიწყეს ეს მშენებლობა და იგი დამკვრელურ-კომკავშირულ საქმედ გამოაცხადეს.

შაბათობებზე მთელი სოფლის ახალგაზრდობა მოდიოდა. ასე რომ, მშენებლებს დამხმარე მუშები არ აკლდათ. აქ ხშირად ნახავდით მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს, სოციალისტური შრომის გმირს გ. სერგაჩოვსაც.

სერგაჩოვი წარსულში თავად ცნობილი სპორტსმენი იყო, ახლა კი იგი კოლექტივში სპორტის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. გამოცდილებამ იგი დიდი ხანია დაარწმუნა, რომ კარგი სპორტსმენი ყოველთვის კარგი მუშაც არის. მეფრინველეობის ფაბრიკაში უმეტესად ახალგაზრდები მუშაობენ და სერგაჩოვი ცდილობს ყოველმხრივ შეუწყოს მათ ხელი. ამიტომ არის, რომ ბარანოვოელ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ქალაქისკენ არ უჭირავთ თვალი. მათ მშობლიურ სოფელშიც ყველა აუცილებელი პირობა აქვთ შექმნილი გონივრული დასვენებისა და ფიზიკური წრთობისთვის.

ბარანოვოელი მოთხილამურეები მუდამ უძლიერესებად ითვლებოდნენ კუნგურის რაიონში. შეჯიბრებებში ბევრჯერ მოუპოვებიათ საპატიო პრიზები ადგილობრივ ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდებსაც. ახლა შეიქმნა შესაძლებლობა, რომ სოფელში კიდევ 3 სექცია ჩამოყალიბებულიყო: კალათბურთის, ძალოსნობის და კრივისა. მეფრინველეობის ფაბრიკის ადგილკომმა გამოყო ფული ინვენტარის შესაძენად, ჰყავთ საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, რაც მთავარია, აქვთ თავიანთი სპორტის სასახლე.

ახალი სასახლის გახსნა სოფელ ბარანოვოში დიდ სპორტულ დღესასწაულად იქცა. სპორტის სხვადასხვა სახეობაში დამსწრეთ თავიანთი ოსტატობა უჩვენეს პერმიდან ჩამოსულმა სტუმრებმაც.

ვ. პაშინი.
(საკდესის კორ.).

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

კრასნოდარის მხარე. ტიმაშევის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველი მეოთხე კაცი სპორტის მეგობარია. სპორტკლუბ „ზარიას" 12 სექციაში 200 თანრიგოსანია გაერთიანებული. კლუბის ბიოგრაფია ჯერ მხოლოდ იწყება, მაგრამ მას უკვე 24 გარდამავალი თასი აქვს მოპოვებული. „უროჟაის" სამხარეო პირველობაში კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდს ბადალი არ ჰყავდა. ახლა კოლმეურნეობის სპორტსმენები „უროჟაის" სპორტული კლუბების რუსეთის პირველობისთვის ემზადებიან.

ს უ რ ა თ ზ ე: კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ლ. მატვეევი (მარცხნივ) და საზოგადოებრივი ინსტრუქტორი დ. სტრელცოვი კოლმეურნე სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ თასებთან.



ე. შულეპოვის ფოტო (საკდესი).

ქალაქ სტავროპოლის ცენტრი საცურაო აუზის ახალმა თანამედროვე შენობამ დაამშვენა. საბაზანო დარბაზი სიგრძით 50 მეტრია. აუზში 8 საცურაო ბილიკია. ტრიბუნები 500-ზე მეტ მაყურებელს იტევს. აქვე არის „მშრალი" ცურვის დარბაზიც, საშხაპეები, ბუფეტი. გაზაფხულზე აუზის სახურავზე ახალგაზრდული კაფე გაიხსნება.

ახალ აუზში უკვე დაიწყეს ვარჯიში საზოგადოება „უროჟაისა" და ბავშვთა სპორტული სკოლის მოცურავეებმა.

ს უ რ ა თ ზ ე: სტავროპოლის ახალი საცურაო აუზის შენობა.

ა. შჩეკინის ფოტო (ტას-ი).

## ორ ქალაქში

ალმა-ათასა და ბაქოში გრძელდება წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები.

ალმა-ათაში 2-2 გამარჯვება იზეიმეს მოსკოვისა და ადგილობრივმა დინამოელებმა. მოსკოველებმა მოუგეს თანაქალაქელ უნივერსიტეტელებსა (3:2) და მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივს" (7:1), ალმაათელებმა კი ჯერ მოსკოვის ოლქის რკინიგზელები დაამარცხეს (9:4), ხოლო შემდეგ თბილისის დინამოელები — 4:3.

ბაქოში ორი დღის მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი — წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილია (ბაქო) 6:4 „ტორპედო" (მოსკოვი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 6:6, წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილია—„ბალტიკა" 7:6, „ტორპედო" — „დინამო" (კიევი) 6:6.

გაგაცნობთ ამ ჯგუფში პირველ დღეს გამართული მატჩების შედეგებს, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ დაბეჭდილა: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი — „დინამო" 4:3, „ტორპედო"— წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილია 7:6.



როცა გაზეთი [illegible] [illegible] იყო... 1945

◆ კოშიცე, 5 ოქტომბერი. ულიანოვსკელმა მორბენალმა ბ. გორელოვმა მოიგო მე-40 ტრადიციული „მშვიდობის მარათონი", რომელმაც მონაწილეთა სარეკორდო რიცხვს — 21 ქვეყნის 320-ზე მეტ სპორტსმენს მოუყარა თავი. გორელოვმა 42 კმ და 195 მ 2 საათში, 16 წუთსა და 26,2 წამში გაირბინა. ეს მისი პირადი რეკორდია. მეორე იყო მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, იაპონელი კ. კიმიხარა — 2:18.06,4. III ადგილზეა იუგოსლაველი ნ. ფარჩიჩი — 2:18.34,6. ფინიშთან მეხუთე მივიდა არაოფიციალური მსოფლიო მიღწევის ავტორი, ავსტრალიელი დ. კლეიტონი — 2:21.10,2. „იგი ნამდვილად უძლიერესი იყო, — თქვა ფინიშის შემდეგ კლეიტონმა გორელოვის შესახებ. — ცუდი, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, მან მაღალი შედეგი აჩვენა და შეინარჩუნა რბენის ძლიერი ტემპი, განსაკუთრებით, დისტანციის მეორე ნახევარზე". გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა მორბენლები პირველობდნენ (ტულელი ვ. მოისეევი მეოთხე იყო — 2:19.35,6. პერმელი ი. ველიკოროდნიხი VII ადგილზე გავიდა — 2:21.32,8. მის თანაქალაქელ ვ. სილაევს VIII ადგილი ხვდა — 2:21.32,8. ასევე პერმელმა ვ. სტერლიაგოვმა XII ადგილი დაიკავა — 2:23.12,4). ეს სსრ კავშირის მარათონელებისთვის ამ სეზონის ყველაზე დიდი მიღწევაა.

◆ პიტეშტი, 5 ოქტომბერი. რუმინეთის ამ ქალაქში აგებული ახალი სტადიონი პირველად რუმინეთისა და პოლონეთის ქალთა ნაკრები გუნდების მძლეოსნებმა მოსინჯეს. ორდღიანი მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 72:63. მაგრამ ყველაზე უკეთესი შედეგი სტუმართა წარმომადგენელმა მოიპოვა: ცნობილმა პოლონელმა მტყორცნელმა დ. იავორსკამ შუბი 61,44 მეტრზე გაგზავნა. ეს პოლონეთის ახალი რეკორდია და ტყორცნის სიშორით მეორე შედეგი მძლეოსნობის ისტორიაში. მასპინძლებიდან გამოირჩეოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ვისკოპოლიანუ, რომელიც 667 სმ სიგრძეზე გადახტა, აგრეთვე, 24 წლის ვ. ბუფანუ. ამ უკანასკნელმა სამჯერ გაიმარჯვა: 100 მეტრზე თარჯრბენში რუმინეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 13,0, 100 მეტრზე რბენაში 11,6 აჩვენა, ხოლო 200 მეტრზე — 23,8. კ. პოპესკუ 179 სმ სიმაღლეზე გადახტა.

◆ პრაღა, 5 ოქტომბერი. მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში — ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები ლიუბლიანის მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ამ შემადგენლობით გამოვა: რესპუბლიკის ჩემპიონი მ. კრაიჩიროვა, ბ. რიმნაჩოვა, ი. კოშტალოვა, ხ. ლიშკოვა, მ. ვახოვა, მ. სკლენიჩკოვა.

◆ სანტ-იაგო, 5 ოქტომბერი. ჩილის ნაკრებმა თავის მინდორზე, 85 ათასი მაყურებლის თვალწინ, ამხანაგური მატჩი წააგო მსოფლიო ჩემპიონებთან — ბრაზილიის ფეხბურთელებთან — 1:5 (0:2). გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს პელემ, რობერტომ, ჟაირზინიომ (2) და პაულუ ცეზარმა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია მესენი.

◆ კონინი (პოლონეთი), 5 ოქტომბერი. გფრ-ისა და პოლონეთის იუნიორ მოკრივეთა აქ გამართული მატჩი დამთავრდა ფრედ — 10:10.

◆ ჰელსინკი, 5 ოქტომბერი. ესპანეთის მოკრივეებმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს ფინეთის გუნდი — 6:4, თუმცა სტუმრების ნაკრებში მსუბუქი წონის სპორტსმენი არ იყო. შარშან ესპანელებმა თავიანთ რინგზე გამართული შეხვედრაც მოიგეს — 7:3.

სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

# როგორც თევზი წყალში

მოსკოვი. „ოქტიაბრის" სტადიონი. 4 ოქტომბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 0:0.

„ლოკომოტივი": ბენიაშვილი, აიწურაძე, ფეტვიაშვილი, სანებლიძე, დავითაია, ნაცვლიშვილი, თეიმურაზ რუხაძე, ყიფიანი (მურღულია), კილასონია, კიზირია, გეგეშიძე, მიქაბერიძე, ფურცელაძე, კორნევი, ხარშილაძე.

„დინამო": ივაშოვი, უტიაწევი, კისელიოვი, კიტაიცევი, დმიტრიევი, ადამაიტისი, რუხლაევი, ლიაპლიკოვი (ბოიკო), მასალკინი, ზაბირაკი, გორგო, სემაშკო, იაკოვლევი, იგნატოვი, ბორისკინი.

მსაჯი ი. დანილოვი (მოსკოვი).

ფინალის მეორე ტურის შეხვედრები იმით იყო აღსანიშნავი, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ სატურნირო ცხრილის უახლოესი მეზობლები.

უკრაინელი რეგბისტები კიევის ნახევარფინალურ ტურნირში არც ისე სახარბიელოდ გამოვიდნენ, მაგრამ ფინალში მათ ვეღარ იცნობთ. პირველ ტურში „დინამომ" საკმაოდ კარგ სტილში დაამარცხა მოსკოვის „ავტომობილისტი" და ქართველ რეგბისტებთან სათამაშოდაც გამარჯვების რწმენით გამოვიდა სარბიელზე. გუნდს ჰქონდა ოპტიმიზმის მიზეზი: მთელ დღეს წვიმდა, წვიმაში კი კიეველები თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში, სწორედ ასეთი ამინდი იყო კიევშიც, როცა მათ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს ქულა დააკარგვინეს.

პირველ ტაიმში თბილისელები ქარის საწინააღმდეგოდ თამაშობდნენ. კიეველები ცდილობდნენ რკინიგზელ თავდამსხმელთა ზურგს უკან ბურთის ჩაგდებითა და თბილისელთა შეცდომების გამოყენებით ეთამაშათ. საქმე ისაა, რომ სველი ოვალური ბურთი მეტად ძნელი დასაჭერია. სამაგიეროდ, თბილისელებმა ტრადიციული ერთი ჩამკეტის ნაცვლად ორი ჩამკეტით თამაში დაიწყეს.

25-ე წუთზე კიეველებმა ბურთი მარცხენა ფრთაზე დაკიდეს. მას ბორისკინმა მიუსწრო და შეეძლო კიდეც იერიში წარმატებით დაემთავრებინა, მაგრამ შეცდა — ბურთს ფეხი დაარტყა. შემდგომ ტაიმი ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა, ანგარიშის გახსნა კი არ მოხერხდა.

მეორე ტაიმში ქარი თბილისელთა მოკავშირე გახდა. [illegible] 55-ე წუთზე შერკინებიდან [illegible] გეგეშიძემ და კორნევმა მიიღეს და მოკლე ფრთიდან კარგ მდგომარეობაში მყოფ სანებლიძეს მიაწოდეს. ეს უკანასკნელი მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ გაემურა, მაგრამ სველ მინდორზე ფეხი დაუსხლტა.

მატჩის ყველაზე დრამატული მომენტი 70-ე წუთი გახლდათ. ამ დროს რკინიგზელებმა 25 მეტრიდან საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. კიზირიამ ალბათ ქარის სიძლიერე კარგად ვერ გაიანგარიშა, ბურთი ძელს მოხვდა და მინდორს დაუბრუნდა.

მატჩის ბოლო წუთზე კიეველი სემაშკო კარგი მდგომარეობიდან არეკნით დარტყმით ბურთის გატანას შეეცადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

* * *

მოსკოვის ჩემპიონმა „ფილიმ" შესანიშნავად ითამაშა ლიდერების — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის რეგბისტების წინააღმდეგ და მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა — 3:0.

ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა მოუგო „ავტომობილისტს" — 14:6, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" დაამარცხა მოსკოვის „დინამო" — 15:3.

**რ. აიწურაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| სამხედრო-საჰაერო აკადემია | 6 | 64—26 | 8 |
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) | 6 | 28—15 | 7 |
| „ფილი" (მოსკოვი) | 6 | 43—35 | 7 |
| „დინამო" (კიევი) | 6 | 27—31 | 5 |
| „ავტომობილისტი" (მოსკოვი) | 6 | 41—54 | 5 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 6 | 33—46 | 4 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 6 | 36—38 | 3 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 6 | 21—48 | 1 |

# ტრეკის სარეკორდო საფარი

ერევანი, 4 ოქტომბერი. ამ ქალაქის ტრეკთან საბჭოთა ქვეყნის ბევრი მოწინავე ველოსიპედისტის კეთილი მოგონებაა დაკავშირებული. გავიხსენებთ მხოლოდ ორ მაგალითს. 6 წლის წინ ერევნის ველოტრეკის საფარზე, რომელსაც სპეციალისტები ერთხმად „სარეკორდოდ" მიიჩნევდნენ, ვ. რიბინმა 5 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში მართლაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 6.19,9.

გუშინ ამ მიღწევის გაუმჯობესება ხცადა რიგის დინამოელმა ძ. ლაცისმა. ცდამ ნაყოფი გამოიღო: რიგელმა მანძილის გავლას 6.17,29 მოანდომა. მართალია, ეს შედეგი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტს, კერძოდ კი დანიელი მ. ფრეის შარშანდელ მიღწევას (6.01,8), მაგრამ სატრეკო ველოსპორტში რეკორდებით მაინცდამაინც განებივრებული არა ვართ და ლაცისის მაჩვენებელი უდავოდ ქებას იმსახურებს. შეგახსენებთ, რომ 1965 წელს ახალმა რეკორდსმენმა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს პირველი მედალი სწორედ ერევანში მიიღო, შარშან კი აქვე გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი 10 კილომეტრზე რბოლაში.

ასპარეზობის პირველ დღეს ჩატარდა 4 კმ-ზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლის წინასწარი სერიები. ნაჩვენები იქნა არც ისე ურიგო შედეგები: ოთხმა ველოსიპედისტმა 5 წუთზე უკეთესი დროც კი აჩვენეს. საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა ბელორუსიის გუნდის წევრს ვ. ნაზარენკოს — 4.56,9.

დღეს აქ კიდევ რამდენიმე საკავშირო რეკორდი დაემხო. ამჯერად თავს იუბილარად გრძნობდა ს. კრავცოვი, რომელმაც საიერიშო დისტანციად 500 მეტრი აირჩია. საკავშირო რეკორდი ამ სახეობაში აქამდე საქართველოს გუნდის წევრს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ო. ფხაკაძეს ეკუთვნოდა. 1964 წელს მოსკოვში მან 500 მ სვლით 29,1 წამში დაფარა და დიდი ხნით ჩაწერა თავისი გვარი საკავშირო რეკორდების ცხრილში. შემდგომში ფხაკაძეს ბევრჯერ შეეძლო რეკორდის გაუმჯობესება, მაგრამ, მისივე განცხადებით, ამ დისტანციისადმი ინტერესი დაკარგა.

და აი, ისევ 6 წლის შემდეგ კრავცოვმა იერიში მიიტანა თავისი უფროსი ამხანაგის რეკორდზე. ცდა ამჯერადაც წარმატებით დაგვირგვინდა: ამიერიდან ახალი საკავშირო რეკორდია 28,9.

ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი ამ წარმატებით გამოწვეული შთაბეჭდილება, რომ ველოტრეკზე შეკრებილი მაყურებლები, მწვრთნელები და სპორტსმენები ნიჭიერ მრბოლელს ახალ გამარჯვებას ულოცავდნენ: კრავცოვმა ყველას აჯობა 1000 მეტრზე გიტში (1.08,21) და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა (ზოგიერთ სახეობაში აქ ოქროს მედლებისთვისაც იბრძვიან).

ორიოდე სიტყვა რეკორდსმენზე: იგი ხარკოვში ცხოვრობს, არის უნივერსიტეტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი და სსრ კავშირის ნაკრების წევრი.

კრავცოვი საკმაოდ ფართო დიაპაზონის ველოსიპედისტია. გამოდის გიტის თითქმის ყველა სახეობაში, ტანდემებით რბოლასა და სპრინტში. სხვათა შორის, ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ერევანში სპრინტერთა ასპარეზობას სწორედ კრავცოვი მოიგებს.

სარეკორდოდ იყვნენ განწყობილი ადგილიდან 10 კილომეტრზე რბოლის მონაწილენიც, მაგრამ ბედმა მათგან მხოლოდ ერთს — კურსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ვ. საბლუკოვს გაუღიმა. მან თანაბარ ტემპში გაიარა მთელი დისტანცია და ფინიშის ხაზი 12 წუთისა და 58,21 წამის შემდეგ გადაკვეთა. საბლუკოვმა შარშან ერევანში დამყარებული რეკორდი ჩამოართვა ლაცისს.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა სპრინტერ ქალთა ასპარეზობაც. როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის წინ ლესტერში (ინგლისი) მსოფლიო ჩემპიონი ლენინგრადელი გ. ცარიოვა გახდა. ტულის საკავშირო პირველობაში მან მარცხი იწვნია გ. ერმოლაევასთან ბრძოლაში, მაგრამ ამჯერად კვლავ დაამტკიცა, რომ სამართლიანად ატარებს მსოფლიოს № 1 სპრინტერის სახელს და სსრ კავშირის თასი მოიგო.

გათამაშდა საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს კიდევ ერთი მედალი: 4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში ჩემპიონი გახდა ნაზარენკო, რომელმაც მწვავე ბრძოლაში დაამარცხა თანაქალაქელი დ. პანკოვი. ეს იყო შეჯიბრების მეორე დღის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია. ახალი ჩემპიონი მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია. აქამდე მას იცნობდნენ, როგორც საგზატკეცილო მრბოლელს, ახლა კი ტრეკზეც გაიცნეს. ერევანში ნაზარენკომ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს პირველი მედალი მიიღო.

# ახალი სისტემით

მეხუთე დღეა, რაც ალმა-ათაში მიმდინარეობს სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთში. წინა წლებისგან განსხვავებით, წლევანდელი გუნდური ჩემპიონატი ცალკე არ თამაშდება. მოკავშირე რესპუბლიკებსა და სპორტსაზოგადოებებს შორის გუნდური პირველობის შედეგები დაჯამდება იმის მიხედვით, თუ რამდენ ჩასათვლელ ქულას მოუტანს ესა თუ ის ჩოგბურთელი (პირად პირველობაში მოპოვებული ადგილის გათვალისწინებით) თავის კოლექტივს. ეს გარემოება ასპარეზობას დაძაბულობას მატებს.

ქალთა ერთეულების პირველ შეხვედრებში დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისელი ო. პაპაიანის თამაშმა. ამ ტანმორჩილმა ქალიშვილმა პირველი ხელი დათმო ძლიერ მეტოქესთან — კრიუჩკოვასთან (4:6), მაგრამ მომდევნო ორი ხელი ალმავლობით ჩაატარა და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწია (6:4, 6:2).

შერეული წყვილების მერვედფინალური მატჩებიდან აღსანიშნავია ო. მოროზოვა — ა. მეტრეველისა და თბილისელების ტ. ფარსადანოვა — ვ. პერეგუდოვის შეხვედრა. საქვეყნოდ აღიარებულ ჩოგბურთელებს ახალგაზრდებმა პირველ პარტიაში ტოლი არ დაუდეს და მოიგეს კიდეც იგი — 6:2. მაგრამ მომდევნო ორი ხელი მოროზოვამ და მეტრეველმა ჩვეული ოსტატობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 6:0, 6:2.

მეოთხედფინალში გავიდნენ, აგრეთვე, მ. კროშინა (ალმა-ათა) — ვ. კოროტკოვი (მოსკოვი) და ბაქოელები ს. ლიხაჩოვი — ე. ბირიუკოვა.

# გამოცდილებამ თავისი გაიტანა

**მოსკოვი, 4 ოქტომბერი.** აქ, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, უკვე მესამე დღეა მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა ნახევარფინალური მატჩები სსრ კავშირის თასისთვის: მ. რანიკუ (ტალინი) — ნ. გორდონი (ოდესა) და ნ. მედიანიკოვა — ტ. ლემაჩკო (ორივე — მოსკოვი).

I ტურში რანიკუმ ფრანგული დაცვა გაითამაშა, მაგრამ ტაქტიკური თამაშის შესაძლებლობა ვერ მიიღო — გორდონი ფხიზლად იბრძოდა. მაშინ რანიკუმ პაიკის შეწირვით სცადა თამაშის გართულება, მაგრამ ალბათ მიზანს ვერ მიაღწევდა, გორდონი რომ არ აჰყოლოდა. გაჩაღდა ტაქტიკური ბრძოლა. გამოცდილმა ოსტატმა ახალგაზრდა მეტოქე დააბნია და გაიმარჯვა.

პოზიციურ სტილში მიმდინარეობდა ლემაჩკო — მედიანიკოვას შეხვედრა. ამ პარტიის ბედი ენდშპილში გადაწყდა, როცა თეთრებმა მეტოქეს ცენტრალური პაიკი მოუგეს.

II ტურში ესტონელმა ოსტატმა, რომელიც ამჯერად თეთრებით თამაშობდა, ენერგიულად დალაშქრა გორდონის მეფის პოზიცია და 23-ე სვლაზე გაიმარჯვა. ლემაჩკო — მედიანიკოვას დაძაბული ორთაბრძოლა მთელ საღამოს გაგრძელდა და 45-ე სვლაზე გადაიდო.

# ახალი ამბები

● **ნიუჩიოპინგი, 3 ოქტომბერი.** ნორვეგიის ამ ქალაქში გაიმართა სკანდინავიის ქვეყნების მძლეოსანთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. კ. ხარლოსმა ურო'ა ტყორცნაში ფინეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 69,12 მ.

● **ბონი, 3 ოქტომბერი.** გფრ-ის მძლეოსნებმა ბოლო შეჯიბრებებში რამდენიმე მაღალი შედეგი აჩვენეს. მაგალითად, ხუთჭიდში ოლიმპიური ჩემპიონი ი. მაკლერ-ბეკერი 670 სმ სიგრძეზე გადახტა. სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენი ჰ. როზენდალი 4×200 მეტრზე ესტაფეტაში ცდიდა ძალას, სადაც თანაგუნდელებთან — რ. იანთან, ა. შრუფთან და ი. კამაიერთან ერთად ქვეყნის ახალი რეკორდი (1.36,4) დაამყარა. ტ. ზახარიასმა სიმაღლეზე ხტომაში სანტიმეტრით გააუმჯობესა ქვეყნის რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ამჯერად მან 220 სმ დაძლია.

● **მოსკოვი, 4 ოქტომბერი.** დედაქალაქის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ბერლინისა და ადგილობრივ ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:1. მოსკოველებიდან ბურთები გაიტანეს: ჩისლენკომ, სოლოვიოვმა, ბობკოვმა და ტროფიმოვმა, სტუმრებიდან — ბლეიმ.

● **ვარშავა, 4 ოქტომბერი.** კალათბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოდის კაუნასის „ჟალგირისი". მორიგი შეხვედრა მან მოუგო პოლონეთის ჩემპიონს „შლიონსკის" (ვროცლავი) — 67:61.

● **მოსკოვი, 4 ოქტომბერი.** ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დღეს განუზომელი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ჰოკეისტთა ჩემპიონატის მორიგმა მატჩმა. ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი — მოსკოვის „დინამო" და ქვეყნის ჩემპიონი — ადგილობრივი „სპარტაკი". დაძაბული ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 4:4 (2:0, 1:1, 1:3). მოსკოვის დინამოელები ლიდერობას ინარჩუნებენ — მათ 13 ქულა აქვთ 14-დან.

# ფალავნის მემორიალი

შარშან თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ქალაქის სამბისტთა პირველობას, რომელიც გამოჩენილი სპორტსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ფ. ჩიკვილაძის ხსოვნას მიეძღვნა.

ტურნირის პირველი ლაურეატები არმიელი ფალავნები (მწვრთნელი ს. ჩიტაშვილი) გახდნენ. მათ არც წლეულს დათმეს პოზიციები და უძლიერესის სახელი შეინარჩუნეს.

II ადგილზე გავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, III — „დინამოს" კოლექტივი.

ტურნირში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, უნივერსიტეტის, „სპარტაკის", „განთიადისა" და „ლოკომოტივის" სამბისტები, რომლებმაც ამავე თანმიმდევრობით დაიკავეს მომდევნო ადგილები.

პირველობამ ბევრი ნიჭიერი მოჭიდავე გამოავლინა.

**ვ. ქოჩელაშვილი,**

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

# ლვოველი

**მშვილდოსანთა** შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა. საბჭოთა კავშირის ქალთა გუნდის გამოსვლა ამ ასპარეზობის სენსაცია იყო. ასეთი რანგის ტურნირის დებიუტანტები არა მარტო თანაბარ დონეზე ებრძოდნენ სხვა ქვეყნების გამოცდილ სპორტსმენებს, არამედ ბოლოს და ბოლოს დაამარცხეს კიდეც ისინი და I ადგილი დაიკავეს. წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის ვაჟთა გუნდიც, რომელიც საუკეთესოთა ექვსეულში მოხვდა.

საინტერესო დეტალია: საბჭოთა მშვილდოსანთა გუნდი სანახევროდ ლვოველი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. სწორედ მათ — ნ. კოზინამ, ტ. ობრაზცოვამ, ვ. სიდორუკმა და მ. პეუნოვმა მოუტანეს გუნდს ყველაზე მეტი ქულა. ეს შემთხვევითი როდია. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირში მშვილდოსნობის დანერგვა დაიწყო, საბჭოთა ნაკრების საძირკველს უკრაინის ქალაქ ლვოვის წარმომადგენლები შეადგენენ.

1957 წლის საერთაშორისო სტუდენტურ სპორტულ თამაშებში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა, საბჭოთა მაყურებელმა პირველად იხილა მშვილდოსანთა შეჯიბრება. პიონერთა შორის აღმოჩნდა სამი ლვოველი: ბუღალტერი რ. ტრუში, ინჟინერი გ. გორდიენკო და მეცნიერ-მუშაკი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი პისტოლეტით სროლაში ნ. კალინიჩენკო.

— როგორც ხედავთ, მაშინ ყველას სხვა პროფესია და გატაცება ჰქონდა, — იგონებს ახლა კალინიჩენკო, — მაგრამ სამივეს ისე მოგვეწონა მშვილდოსნობა, რომ დავბრუნდით თუ არა ჩვენს უძველეს ქალაქში (ლვოვი 700 წელზე მეტი ხნისაა), მაშინვე ამ კიდევ უფრო ძველი სახეობის პროპაგანდა დავიწყეთ. თავიდან გაგვიჭირდა, ჩვენც ვსწავლობდით და ახალბედებსაც ვასწავლიდით, შეჯიბრებებშიც გამოვდიოდით და ინვენტარის შექმნისთვისაც ვზრუნავდით.

რასაკვირველია, ასეთი ენთუზიასტები სხვა ქალაქებშიც იყვნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ლვოველებს ყველაზე მეტად შეუყვარდათ მშვილდოსნობა (სხვათა შორის, აქ მეორე წამყვანი სახეობაა ფარიკაობა — ასევე უძველესი სპორტი). მათ სწრაფად შეაფასეს მშვილდოსნობის მთელი მიმზიდველობა — ათლეტიზმი, ბრძოლის დაძაბულობა, სილამაზე.

მშვილდოსნობა ყველა ასაკისთვის მისაწვდომი სპორტია. მაგალითად, ლვოველმა მშვილდოსანმა ვ. კოპაჩინსკაიამ უკვე 60 წელს გადააბიჯა, მაგრამ მოქმედი სპორტის ოსტატია—სარბიელზე გამოდის.

როცა 1963 წელს სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა მშვილდოსნობაში, უძლიერესთა ალისფერი მაისურები ლვოველებმა — ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა სიდორუკმა და რადიოელექტრონიკის ტექნიკუმის სტუდენტმა ობრაზცოვამ ჩაიცვის. საბჭოთა კავშირის ნაკრები მალე წარმატებით გამოვიდა ჯაკარტაში [illegible] განეფო-ს საერთაშორისო თამაშებში. ქალთა გუნდმა (ლვოველები ტ. ობრაზცოვა და ინჟინერი [illegible]) II ადგილი დაიკავა, ვაჟთა გუნდმა კი ყველა მეტოქე ჩამოიტოვა. ამასთან, სი-

1970 ფეხბურთი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 8 ოქტომბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი)—„ჟალგირისი" (ვილნიუსი) 0:1 (0:1).

„ლოკომოტივი": ბერიძე, ფრიდმანი (გოგიჯანაშვილი), პანოვი, ქელეხიძე, ფილია, ძაგანია (პელიძე), ჯორბენაძე, ყიფიანი, შხვაცაბაია, ბახტაძე, საფაროვი (ტროიანი).

„ჟალგირისი": ზელენკიავიჩუსი, ლიაუდანსკასი, ჟიტკუსი, ჟილინსკასი, რამიალისი, ბრივინსკასი, კალედნისკასი, ბილიუნასი, ლიდიაკა, ზელკიავიჩუსი, იუშკა (იურგელავიჩუსი).

მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

## თითოგოლიანი ფრე ბათუმში

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 8 ოქტომბერი.

„დინამო" (ბათუმი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:1 (0:1).

„დინამო": პავლოვი, ჩხაიძე, წივწივაძე, სირბილაძე, გაგუა, ილურიძე, ქორიძე, ვაჟა კვიტაიშვილი, ჩხარტიშვილი, ესებუა (მახელიანი), ვახტანგ კვიტაიშვილი.

„შინიკი": ბორისოვი, რახმეტჩაევი, სმირნოვი, კარასიოვი, ხომოვი, პაჭკოვი, ნიკოლაევი, ხანინი, ხტენიშევი, კლეშჩევი, ფროლოვი (კოროტკოვი).

მსაჯი ი. კალგანოვი (სვერდლოვსკი).

მასპინძლებს გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან ჰქონდათ შეხვედრა. ბათუმელებმა ამ გუნდის მინდორზე თამაშის დროს მარცხი იწვნიეს (0:1) და ახლა, ბუნებრივია, რევანშზე ფიქრობდნენ. პირველი ტაიმი ორმხრივი იერიშით დაიწყო, მაგრამ ბურთი მაინც მეტწილად მოედნის შუაგულში ტრიალებდა. და უცებ მე-14 წუთზე საქმეში ჩაერია საეჭვო 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ბათუმელთა კარში დაინიშნა. იაროსლაველმა სმირნოვმა კარგად გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა და ანგარიში გახსნა — 1:0.

ტაიმის დასასრულს, 41-ე წუთზე, ხანინს ჰქონდა ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ პავლოვმა ახლოდან დარტყმული ბურთი ოსტატურად მოიგერია.

შესვენების შემდეგ თამაში ბათუმელთა უპირატესობით წარიმართა. სტუმრების 8-9 მოთამაშე გამუდმებით საკუთარ საჯარიმო მოედანზე იყო თავშეყრილი. გოლი თანდათან მწიფდებოდა. და აი, მე-80 წუთზე ქორიძე მოედნის შუაგულში დაეუფლა ბურთს, მეტოქის კარისკენ დაიძრა, სწრაფად გადააწოდა ვახტანგ კვიტაიშვილს და ამ უკანასკნელმა დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

ამის შემდეგ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა ჰქონდათ ქორიძეს, კვიტაიშვილებს, ჩხაიძეს, მაგრამ საბოლოო დარტყმები უზუსტო გამოდგა.

**ო. მურვანიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სსრ კავშირის პირველობა

## უნიათოდ, მოუნდომებლად

ორივე გუნდს გათამაშების ცხრილის შუაში აქვს ადგილები დამკვიდრებული. დარჩენილ მატჩებს მათი სატურნირო მდგომარეობის არსებითი შეცვლა თითქოს არ შეუძლია, მაგრამ ხომ არსებობს სპორტული მხარეც? ჩვენი აზრით, სწორედ ამ უკანასკნელს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამას გარდა, თბილისელებს უნდა გახსენოდათ რევანშის აღების წყურვილი პირველ წრეში მეტოქესთან დამარცხების გამო. ყოველივე ამან გვაფიქრებინა, რომ რკინიგზელები ყოველ ღონეს იხმარდნენ, რათა გულშემატკივრები ლამაზი, შემტევი ფეხბურთის მოწმე გაეხადათ.

მატჩის დასაწყისი თბილისელთათვის დრამატული გამოდგა. უკვე პირველივე წუთებზე სტუმრების თავდამსხმელმა ზელკიავიჩუსმა რკინიგზელთა მცველების უყურადღებობით ისარგებლა და დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად დაარტყა. ბერიძეც მოუმზადებლად დახვდა ბურთს და სტუმრები დაწინაურდნენ — 1:0.

მომდევნო 20 წუთის მანძილზე თბილისელები უტევდნენ, მაგრამ კარში დარტყმები ძალიან უზუსტო იყო. ტაიმის მიწურულს მასპინძლები თითქოს შეურიგდნენ წაგებას და არავითარ ხიფათს აღარ უქმნიდნენ ვილნიუსელთა კარს.

შესვენების შემდეგ თბილისელები თითქოს აქტიურად იწყებდნენ იერიშებს, მაგრამ დამამთავრებელ სტადიაში მეტისმეტად უმწეოდ გამოიყურებოდნენ. მართალია, გუნდის თავდასხმის ლიდერის სუციშვილის არყოფნამ შეასუსტა იერიშების სიმძაფრე, მაგრამ ეს მასპინძლებს როდი ამართლებს. საერთოდ, გუნდის თამაშში არ იგრძნობოდა გამარჯვებისკენ სწრაფვა. ამიტომ იყო, რომ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა ძირითადი შემადგენლობიდან უკლებლივ ყველას ორიანი დაუწერა, ხოლო ტროიანი შეუფასებელი დატოვა.

**ა. ცეხანელი.**

I ჯგუფი

### სხვა მატჩები

„სტროიტელი" (აშხაბადი)—„შახტიორი" (ყარაგანდა) 0:0, „პამირი" (დუშანბე) — „ყაირათი" (ალმა-ათა) 1:1, „ალგა" (ფრუნზე) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:0, „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „რუბინი" (ყაზანი) 2:1, ასკ (კიევი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 0:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:0, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 3:0, „კარპატი" (ლვოვი) — „დინამო" (ლენინგრადი) 4:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყაირათი" (ალმა-ათა) | 35 | 20 | 9 | 6 | 56—22 | 49 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 34 | 18 | 11 | 5 | 49—20 | 47 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 35 | 19 | 9 | 7 | 41—21 | 47 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 35 | 17 | 9 | 9 | 44—28 | 43 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 35 | 13 | 17 | 5 | 36—20 | 43 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 34 | 16 | 8 | 10 | 46—39 | 40 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 35 | 16 | 7 | 12 | 39—29 | 39 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 35 | 15 | 9 | 11 | 30—31 | 39 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 35 | 13 | 11 | 11 | 39—29 | 37 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 34 | 12 | 13 | 9 | 34—31 | 37 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 34 | 12 | 11 | 11 | 34—26 | 35 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 35 | 10 | 12 | 13 | 28—42 | 32 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 35 | 12 | 7 | 16 | 29—33 | 31 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 34 | 9 | 13 | 12 | 22—31 | 31 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 35 | 8 | 14 | 13 | 21—30 | 30 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 35 | 10 | 10 | 15 | 27—43 | 30 |
| ასკ (კიევი) | 35 | 9 | 9 | 17 | 33—42 | 27 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 35 | 8 | 11 | 16 | 28—37 | 27 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 34 | 9 | 9 | 16 | 29—40 | 27 |
| „პამირი" (დუშანბე) | 35 | 9 | 9 | 17 | 35—51 | 27 |
| „დაუგავა" (რიგა) | 34 | 7 | 11 | 16 | 27—41 | 25 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 34 | 6 | 7 | 21 | 20—61 | 19 |



უკვე მეცხრე წელია, რაც თელავის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თაოსნობით დაწესდა სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ჩოხელის სახელობის გარდამავალი თასი საშუალო სკოლების გუნდებისთვის. მორიგ გათამაშებაში რაიონის ოცამდე საშუალო სკოლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ფინალის გზაზე თელავის მე-2 საშუალო სკოლისა და სკოლა-ინტერნატის ფეხბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით (4:1) შესაბამისად დაამარცხეს შარშანდელი თასის მფლობელი — თელავის მე-3 და სოფელ ფშაველის საშუალო სკოლების გუნდები.

დადგა ფინალის დღეც. კომკავშირის სახელობის სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ადგილობრივი მე-2 საშუალო სკოლისა და სკოლა-ინტერნატის გუნდები. დაძაბული ბრძოლა მეორესკოლელებმა მოიგეს — 3:2. მათ გადაეცათ კიდეც გ. ჩოხელის სახელობის გარდამავალი თასი. ამ სკოლის გუნდის მწვრთნელია ფიზაღზრდის მასწავლებელი ე. ჯაშიაშვილი.

**ა. კოტორაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.

• • •

სურათზე: შეტევაზეა მე-2 სკოლის გუნდი.

ავტორის ფოტო.

## ფინალში — „ცემენტნიკი" და „სტრელა"

სსრ კავშირის თასის გათამაშება ფიზკულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდებს შორის დასასრულს უახლოვდება. 8 ოქტომბერს გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. ნიკოლაევის „ცემენტნიკმა" დაამარცხა კედაინიხის „ნევეჟისი" (1:0), ხოლო მოსკოვის „სტრელამ" — ტიუმენის „გეოლოგი" (3:0).

ამრიგად, 11 ოქტომბერს ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ცემენტნიკი" და „სტრელა". ეს გადამწყვეტი მატჩი გაიმართება ჩერნოვცში (უკრაინა).




## სანუგეშო ტურნირების შედეგები

ბულგარეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატების მთავარი ფინალების გარდა, სხვადასხვა ქვეყნის ფრენბურთელთა ნაკრები კოლექტივები ეგრეთ წოდებულ სანუგეშო ტურნირებშიც მონაწილეობდნენ. ქალთა გუნდებს შორის IX-XVI ადგილები ასე განაწილდა: 9. პოლონეთი, 10. გდრ, 11. აშშ, 12. მექსიკა, 13. ბრაზილია, 14. პერუ, 15. ჰოლანდია, 16. მონღოლეთი.

ვაჟთა სანუგეშო ტურნირში გათამაშდა IX-XXIV ადგილები, რომლებიც ასე განაწილდა: 9. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, 10. იუგოსლავია, 11. უნგრეთი, 12. ბრაზილია, 13. კუბა, 14. ჰოლანდია, 15. იტალია, 16. მონღოლეთი, 17. საფრანგეთი, 18. აშშ, 19. ისრაელი, 20. ფინეთი, 21. ირანი, 22. ტუნისი, 23. ვენესუელა, 24. გვინეა.

II ჯგუფი

გორი. ქალაქის სტადიონი. 8 ოქტომბერი.

„დილა" (გორი) — „ვოლგა" (კალინინი) 0:0.

„დილა": ჩლაიძე, კოზინი, კობიაშვილი, გლავადსკი, ამბრიაშვილი, ეზუხბაია, ჰეიშვილი, პაპიაშვილი (მარლიშვილი), კაპანაძე, ბურჯანაძე, ქორიძე (მაღრაძე).

„ვოლგა": იშერსკი, ვერდოპული, ალექსანდროვი, კლიმოვი, ჩერნიაევი, კუზმინი, გალკინი, გოლოვანოვი, კოსტენკო, მოხალენკოვი, კალაშნიკოვი (მალინინი).

მსაჯი ა. კიშკო (ლენინგრადი).

## უგოლო ფრე გორში

მორიგ ტურში გორელები „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის ერთ-ერთ ლიდერს მასპინძლობდნენ. „ვოლგა" ყველასთვის ძლიერი მეტოქეა და დამაჯერებლადაც იბრძვის პირველობისთვის. ეს ჩანდა მატჩის მსვლელობის დროსაც. ჯერ კიდევ შეხვედრის დასაწყისში მასპინძელთა მეტოქემ რამდენიმე სახიფათო რეიდი განახორციელა. მე-7 წუთზე გორელთა კარი ძელმა იხსნა. მათს დაცვას ძალიან გაუჭირდა სტუმრების თავდამსხმელთა ნეიტრალიზება, ხოლო ჩლაიძემ თავისი კარი რამდენიმეჯერ აშკარა გოლისგან იხსნა.

ტაიმის დასასრულს თამაში გათანაბრდა და გორელებმაც განახორციელეს რამდენიმე იერიში. ერთხელ ამბრიაშვილის დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა მეტოქეთა კარს. მასპინძლებს გოლის გატანის ნაღდი შესაძლებლობა მიეცათ 43-ე წუთზე, როცა კაპანაძე წააქციეს და „ვოლგის" კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა. მაგრამ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბურჯანაძემ სუსტად დაარტყა და მეკარემ იოლად მოიგერია ბურთი.

შესვენების შემდეგ მასპინძლები ერთგვარად გააქტიურდნენ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. 70-ე წუთზე ბურჯანაძემ მეკარეც კი მოატყუა, დაარტყა კარში, მაგრამ მეტოქეთა მცველმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

**გ. გოზალიშვილი.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## რობინ ჰუდები

დორუკი-უძლიერესი აღმოჩნდა პირად ჩათვლაში.

ქვეყნის შემდეგი პირველობა დამთავრდა უკრაინის გუნდის ტრიუმფით, რომლის 90 პროცენტსაც ლვოველები შეადგენდნენ. შემდეგ წლებშიც ლვოველები უცვლელი წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. განსაკუთრებით ბევრი გამარჯვება მოიპოვეს სიდორუკმა და კოზინამ.

ლვოვის კლუბები წარმატებით მონაწილეობდნენ საერთაშორისო შეხვედრებშიც. მაგალითად, 1965 წლის გაზაფხულზე „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" მშვილდოსნებმა დაუსწრებელ მატჩში დიდი უპირატესობით დაამარცხეს ორი ინგლისური კლუბის გუნდები.

პოლონეთის ჩემპიონი — კლუბი „რესოვინია" ბოლო წლებში სამჯერ შეხვდა ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტ მშვილდოსნებს და სამივეჯერ წააგო, ამასთან დიდი სხვაობით.

ჩემი აზრით, ლვოველ მშვილდოსანთა წარმატების საფუძველი ისაა, რომ მწვრთნელებს შესწევთ უნარი ახალგაზრდებს სპორტის ეს სახეობა შეაყვარონ. კალინიჩენკო, რ. ტრუში, მ. ხუსკივაძე გამოცდილი სპორტული ხელმძღვანელები არიან და მათ ბევრი მიმდევარი ჰყავთ. დღეს მშვილდოსნობა ლვოვის ათ ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებაშია დანერგილი. 1000-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი სისტემატურად ვარჯიშობს საგანგებოდ მოწყობილ ზაფხულისა და ზამთრის სასროლეთებზე. ადგილობრივ ფიზკულტურის ინსტიტუტს (საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით მხოლოდ აქაა მშვილდოსნობის სპეციალიზაცია) დავალებული აქვს გუნდების მომზადება 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.

ლვოვში მომზადდა 50 სპორტის ოსტატი, 12 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, დავასახელოთ თუნდაც მხოლოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დროის ჩემპიონები: ტ. ობრაზცოვა, ლ. სნისარენკო, ნ. კოზინა, ვ. კოპაჩინსკაია, ნ. ლონსკაია, კ. ბეზვერშუკი, ო. რუტკოვსკაია, ი. ორლიკი, ლ. გრიშჩენკო, ვ. სიდორუკი, მ. ხუსკივაძე, ვ. მარკოვიჩი, მ. პეუნოვი, ლ. სტრელბიცკი. ვეტერანებს ღირსეული ცვლა ეზრდებათ. ლვოველ მწვრთნელთა აღსაზრდელი ათობით სპორტსმენი სსრ კავშირის მოზარდთა და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში შედის.

თუმცა, პოზიციების დათმობას არც ვეტერანები აპირებენ. ამას მოწმობს შედეგები ევროპის ბოლო ჩემპიონატისა, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში მოეწყო. აქ კონტინენტის უძლიერესი მშვილდოსნის სახელი მოიპოვა ვ. სიდორუკმა, ბრინჯაოს მედალი მოიგო ვ. სტრელბიცკიმ, ვერცხლისა — ტ. ობრაზცოვამ.

ჯერჯერობით ძნელია ითქვას, ვინ მოხვდება სსრ კავშირის მშვილდოსანთა ოლიმპიურ ნაკრებში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ლვოველ მშვილდოსნებს გუნდის შემადგენლობაში ადგილი ექნებათ.

**ვ. ერიომინი,**
სპორტის ოსტატი.
(„ახალი ამბების სააგენტო").



# ევროპის ჩემპიონატის კალენდარი

ფეხბურთი

7 ოქტომბერს იწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები ფეხბურთში. ამ ასპარეზობის მონაწილეები, რომლებიც 8 ჯგუფად არიან დაყოფილი, 1971 წლის დასასრულამდე გამოავლენენ გათამაშების ფინალისტებს.

აი, შესარჩევი თამაშების კალენდარი:

I ჯგუფი. ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უელსი, ფინეთი.

ჩეხოსლოვაკია — ფინეთი 7.10. 1970 წ., რუმინეთი — ფინეთი 10. 10.7, უელსი — რუმინეთი 11. 11. 70, ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი 16, 5. 71, ფინეთი — უელსი 26. 5. 71, ფინეთი — ჩეხოსლოვაკია 16. 6. 71, ფინეთი — რუმინეთი 22. 9. 71, უელსი — ფინეთი 13. 10. 71, რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია 14. 11. 71, რუმინეთი — უელსი 24. 11, 71, ჩეხოსლოვაკია — უელსი (თარიღი საბოლოოდ დადგენილი არაა).

II ჯგუფი. უნგრეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, ნორვეგია.

ნორვეგია — უნგრეთი 7. 10. 70, საფრანგეთი — ნორვეგია 11. 11. 70, ბულგარეთი — ნორვეგია 15. 11. 70, უნგრეთი — საფრანგეთი 24. 4. 71, უნგრეთი — ბულგარეთი 19. 5. 71, ნორვეგია — ბულგარეთი 9. 6. 71, ნორვეგია — საფრანგეთი 8. 9. 71, ბულგარეთი — უნგრეთი 25. 9. 71, საფრანგეთი — უნგრეთი 9. 10. 71, უნგრეთი — ნორვეგია 27. 10. 71, საფრანგეთი — ბულგარეთი 10. 11. 71, ბულგარეთი—საფრანგეთი 11. 12. 71.

III ჯგუფი. ინგლისი, საბერძნეთი, შვეიცარია, მალტა.

მალტა — საბერძნეთი 11. 10. 70, საბერძნეთი — შვეიცარია 16. 12.70, მალტა — შვეიცარია 20. 12. 70, მალტა — ინგლისი 3. 2. 71, ინგლისი — საბერძნეთი 21. 4. 71, შვეიცარია — მალტა 21. 4. 71, შვეიცარია — საბერძნეთი 12. 5. 71, საბერძნეთი — მალტა 18. 6. 71, შვეიცარია — ინგლისი 13. 10. 71, ინგლისი — შვეიცარია 10. 11. 71, ინგლისი — მალტა 1. 12. 71, საბერძნეთი — ინგლისი (თარიღი საბოლოოდ დადგენილი არაა).

IV ჯგუფი. სსრ კავშირი, ჩრდილოეთ ირლანდია, ესპანეთი, კვიპროსი.

ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია 11. 11. 70, კვიპროსი — სსრ კავშირი 15. 11. 70, კვიპროსი — ჩრდ. ირლანდია 3. 2. 71, ჩრდ. ირლანდია — კვიპროსი 21. 4. 71, კვიპროსი — ესპანეთი 9. 5. 71, სსრ კავშირი — ესპანეთი 30. 5. 71, სსრ კავშირი — კვიპროსი 7. 7. 71, სსრ კავშირი— ჩრდ. ირლანდია 22. 9. 71, ჩრდ. ირლანდია—სსრ კავშირი 13. 10. 71, ესპანეთი—სსრ კავშირი 27. 10. 71, ჩრდ. ირლანდია—ესპანეთი 10. 11. 71, ესპანეთი — კვიპროსი 24. 11. 71.

V ჯგუფი. შოტლანდია, ბელგია, პორტუგალია, დანია.

დანია — პორტუგალია 14. 10. 70, შოტლანდია — დანია 11. 11. 70, ბელგია — დანია 25. 11. 70, ბელგია — შოტლანდია 3. 2. 71, ბელგია — პორტუგალია 17. 2. 71, პორტუგალია — შოტლანდია 21. 4. 71, პორტუგალია — დანია 12. 5. 71, დანია — ბელგია 26. 5. 71, დანია — შოტლანდია 9. 6. 71, შოტლანდია — პორტუგალია 13. 10. 71, შოტლანდია — ბელგია 10. 11. 71, პორტუგალია — ბელგია 21. 11. 71.

VI ჯგუფი. იტალია, შვეცია, ავსტრია, ირლანდია.

ირლანდია — შვეცია 14. 10. 70, შვეცია — ირლანდია 28. 10. 70, ავსტრია — იტალია 31. 10. 70, იტალია — ირლანდია 8. 12. 70, ირლანდია — იტალია 9. 5. 71, შვეცია — ავსტრია 26. 5. 71, ირლანდია — ავსტრია 30. 5. 71, შვეცია — იტალია 9. 6. 71, ავსტრია — შვეცია 5. 9. 71. იტალია—შვეცია 9. 10. 71, ავსტრია—ირლანდია 10. 10. 71, იტალია — ავსტრია 27. 11. 71.

VII ჯგუფი. იუგოსლავია, გდრ, ჰოლანდია, ლუქსემბურგი.

ჰოლანდია — იუგოსლავია 11. 10. 70, ლუქსემბურგი — იუგოსლავია 14. 10. 70, გდრ—ჰოლანდია 11. 11. 70, ლუქსემბურგი— გდრ 15. 11. 70, ჰოლანდია — ლუქსემბურგი 24. 2. 71, იუგოსლავია — ჰოლანდია 4. 4. 71, გდრ — ლუქსემბურგი 24. 4. 71, გდრ — იუგოსლავია 9. 5. 71, ჰოლანდია — გდრ 10. 10. 71, იუგოსლავია — გდრ 16. 10. 71, იუგოსლავია — ლუქსემბურგი 27. 10. 71, ლუქსემბურგი — ჰოლანდია 17. 11. 71.

VIII ჯგუფი. გფრ, პოლონეთი, თურქეთი, ალბანეთი.

პოლონეთი — ალბანეთი 14. 10. 70, გფრ — თურქეთი 17. 10. 70, თურქეთი — ალბანეთი 13. 12. 70, ალბანეთი — გფრ 17. 2. 70, თურქეთი — გფრ 25. 4. 71, ალბანეთი — პოლონეთი 12. 5. 71, გფრ — ალბანეთი 12. 6. 71, პოლონეთი — თურქეთი 22. 9. 71, პოლონეთი — გფრ 10. 10. 71, გფრ — პოლონეთი 17. 11. 71, თურქეთი — პოლონეთი 5. 12. 71.

△ ლაიპციგი. ბულგარეთის, ფინეთისა და გდრ-ის მძლეოსანთა მატჩში ქალთა შორის ყველას აჯობეს ევროპის თასის მფლობელებმა — გდრ-ის სპორტსმენებმა. მათ ბულგარელები დაამარცხეს ანგარიშით 90:45, ხოლო ფინელები — 91:44, ბულგარელებმა მოუგეს ფინელებს — 69:66. ვაჟთა ტურნირში ფინელებმა გაიმარჯვეს გდრ-ის გუნდთან — 119:93 და ბულგარელებთან — 140:70. ბულგარელები დამარცხდნენ გდრ-ის კოლექტივთანაც — 78:132.

△ ვარშავა. პოლონეთისა და ინგლისის მძლეოსანთა მატჩში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. ვაჟებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 126:85, ქალებმა — 70:65. 4×400 მეტრზე ესტაფეტაში პოლონეთის ქალთა გუნდმა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 3.36,5. ინგლისელი უილსონი 642 სანტიმეტრზე გადახტა. ვაჟთა შეჯიბრებაში კოჩინსკიმ 400 მეტრზე თარჯრბენში პოლონეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 50,3.

△ ბრიუსელი. გფრ-ის და ჰოლანდიის ხუთჭიდელთა შეჯიბრებაში სტუმართა გუნდს აკლდნენ ოლიმპიური ჩემპიონი მიკლერი და მსოფლიო რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში როზენდალი. ამიტომ ეს კოლექტივი დამარცხდა — 18491:18909. პირადი პირველობა მოიგო მსოფლიო უნივერსიადის ბრინჯაოს მედალოსანმა სტერკმა (ჰოლანდია) — 4806 ქულა.

△ ვიქტორია. კანადელი მძლეოსნები აქ მასპინძლობდნენ შვედ და ნორვეგიელ კოლეგებს. გაიმარჯვეს შვედებმა, რომლებმაც 261 ქულა მოაგროვეს. II ადგილზეა კანადის გუნდი (232), III — ნორვეგიის (197) კოლექტივი. შვედმა იზაკსონმა ჭოკით 537 სმ გადალახა. 400 მეტრზე მორბენალ ქალთა ტურნირი მაღალი შედეგით მოიგო ლუნდგრენმა (შვეცია) — 53,2.






## საფოსტო ნიშნები პელეს ავტოგრაფით

როგორც ცნობილია, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა პელემ ვარშან მეათასე გოლი გაიტანა. ამის აღსანიშნავად სახელგანთქმული სპორტსმენის სამშობლოში საგანგებო საფოსტო ნიშანი გამოუშვეს. ამას წინათ პელემ ხელი მოაწერა საფოსტო ნიშნების რამდენიმე ბლოკს, რომლებიც აუქციონით გაიყიდება საქველმოქმედო მიზნით.

სურათებზე: ავტოგრაფებიანი საფოსტო ნიშნების ბლოკი; პელე ხელს აწერს საიუბილეო საფოსტო ნიშნების ბლოკზე.

კეისტონ — საკდესის ფოტო.




◆ ვინკოვცი (იუგოსლავია), 5 ოქტომბერი. აქ დაწყებულ საერთაშორისო ტურნირში სამი საბჭოთა მოჭადრაკე მონაწილეობს: დიდოსტატები პეტროსიანი, ტაიმანოვი და ბრონშტეინი. I ტურში პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბრონშტეინთან, ხოლო ტაიმანოვმა მარიჩთან (იუგოსლავია) გადადო პარტია. შეჯიბრებაში სხვა გამოჩენილი მოჭადრაკეებიც მონაწილეობენ: დიდოსტატები ლარსენი (დანია), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), გლიგორიჩი, პარმა (ორივე — იუგოსლავია), საბო (უნგრეთი). აქ თამაშზე ბოლო მომენტში თქვა უარი ფიშერმა (აშშ) და მის ნაცვლად ალბათ კანადელი სათლზი ითამაშებს, რომელიც ახლა იუგოსლავიაშია სტუმრად.

◆ ვენა, 5 ოქტომბერი. მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონი გახდა 26 წლის ბელგიელი ჟ. რობერი, II ადგილი დაიკავა მისმა თანამემამულე ს. გებოერსმა. ბრინჯაოს მედალიც ბელგიელ რ. დე კოსტერს ხვდა. IV ადგილზეა ფინელი ხ. მიკოლა. ავსტრიაში გამართულ XII ეტაპზე გებოერსს მანქანამ უმტყუნა და მან რბოლას თავი დაანება. წარმატების ძალიან დიდი შანსი კი ჰქონდა — გებოერსმა ამ მარცხის შემდეგაც ხომ II ადგილი დაიკავა — მსოფლიო ჩემპიონს სულ 2 ქულით ჩამორჩა. რობერმა მეოთხედ მოიხვეჭა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. საბჭოთა მრბოლელები წლევანდელ ჩემპიონატის მხოლოდ რამდენიმე ეტაპზე გამოვიდნენ.

# აკრძალული ილეთი

როგორც ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება, ახალგაზრდა ბრიტანელმა სპორტსმენებმა მიიღეს ოფიციალური შეტყობინება, რომ მათ უფლება არა აქვთ სიმაღლეზე ხტომაში „ფოსბიური-ფლოპის" სტილი გამოიყენონ. „შეიძლება კისერი მოიტეხოთ", — ნათქვამია შეტყობინებაში.

როგორც ცნობილია, 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში დ. ფოსბიური (აშშ) 224 სმ სიმაღლეზე გადახტა და ოქროს მედალი მოიგო. ამერიკელი იყენებდა ისეთ ტექნიკას, რომლის მსგავსიც მანამდე ისტორიაში უცნობი იყო.

ფოსბიური გამორბენის შემდეგ მოულოდნელად შებრუნდებოდა, თამასას ზურგით გადაევლებოდა და ძირს მხრებით ეშვებოდა. მაგრამ მალე ბევრმა მეთვალყურემ განაცხადა: თუ ეს ტექნიკა გავრცელდება, მსოფლიოში კისერს ბევრი მხტომელი მოიტეხსო. ახლა ამ სიტყვებს მოჰყვა აღნიშნული ტექნიკის გამოყენების ოფიციალური აკრძალვა, რაც სათავეს ბრიტანეთის სამოყვარულო მძლეოსნობის ასოციაციის სასკოლო-საკონსულტაციო კომიტეტიდან იღებს.

კომიტეტმა დაგზავნა ცირკულარი, რომლის თანახმადაც ფოსბიურის ყაიდით ხტომა სასკოლო საწვრთნელი პროგრამიდან უნდა ამოიღონ, ვინაიდან იგი განსაკუთრებულ რისკთანაა დაკავშირებული.

ბრიტანეთის ოფიციალურ პირებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ „ფოსბიურის სტილის" გამოყენებისთვის სპორტსმენებს მიწაზე უკეთ დაშვებისთვის განსაკუთრებული პირობები უნდა შეექმნათ.

(საკდესი).

ჩვენი კომენტარი

გაუგებარია, რატომ ეშინიათ იმ ყაიდისა ბრიტანეთში, რომელმაც ორი წლის მანძილზე ესოდენ ფართო გავრცელება ჰპოვა. ახლა „ფოსბიური-ფლოპს" თითქმის ყველა ქვეყანაში მასობრივად იყენებენ. ბევრგან კი ამ ყაიდას ქალებიც დაეუფლნენ და, რაც მთავარია, საკმაოდ მაღალ შედეგებსაც აღწევენ.

სსრ კავშირში ერთი პირველთაგანი, ვინც ახალი ყაიდა აითვისა, ლიტველი სტუდენტი კ. შაპკა გახლავთ. თბილისელებმა მისი ოსტატობა ამ გაზაფხულს სპორტის სასახლეში რომის ოლიმპიადის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. შავლაყაძის სახელობის პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში ნახეს.

შაპკას სწორედ თბილისის სპორტის სასახლეში ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა ხტომის ახალ ყაიდაზე.

— მე ასე ხტომა ძალიან მომწონს, უდავოდ პოტენციური სტილია და მჯერა, მას დიდი მომავალიც აქვს, — გვითხრა მან. — ბრუმელის რეკორდის დამარცხება მხოლოდ „ფოსბიური-ფლოპის" ყაიდით შეიძლება.

მას შემდეგ შაპკამ რამდენიმე შეჯიბრებაში იმარჯვა, გასულ შაბათ-კვირას სოჭში გამართულ სოციალისტური ქვეყნების დინამოელ მძლეოსანთა ტურნირში კი წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგი (223 სმ) აჩვენა. შემდეგ ლიტველმა სტუდენტმა ბრუმელის მსოფლიო რეკორდზე (228 სმ) მიიტანა იერიში და ერთ-ერთ ცდაზე მიზანთან ახლოსაც იყო.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04428